

ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირი N3 საცხოვრებელი სახლის N19 ბინაზე, მოქალაქე  
შალვა კუხიანიძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის  
გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ჭავჭავაძის გამზირი N3 საცხოვრებელი სახლის N19 ბინაში მცხოვრები მოქალაქე შალვა კუხიანიძის განცხადება /2013 წ. 19.06 Nკ-6562/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირი N3 საცხოვრებელი სახლის N19 ბინა/ საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქ.ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირი N3 საცხოვრებელი სახლის N19 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე შალვა კუხიანიძეს.

2. ქ.ქუთაისის მერიის ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვისა და პრივატიზების სამსახურმა /ბ.ცქიფურიშვილი/ ქალაქ ქუთაისში, ჭავჭავაძის გამზირი N3 საცხოვრებელი სახლის N19 ბინაზე /საერთო ფართობი 52.68 კვ.მ. საცხოვრებელი ფართობი 29.38 კვ.მ. დამხმარე ფართობი 23.30 კვ.მ./ მოქალაქე შალვა კუხიანიძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა გ.შარაბიძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრადის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

თ.თოფურიძე